

თეატრ მუზეუმი

(1184—1213)

დ. კარაჭაშვილის მიერ.

თბილისი 1893 წ.

შ. შარაძის სტამბა | Типогр. М. Шарадзе,  
ნიკოლ. ქუჩა, № 21 | Николаевская, № 21.



# თაყარ მეფე

(1184—1213)

20660

დ. კანაჭაშვილის ძეგლი.



ტფილისი 1892

Типогр. М. Шарадзе, || მ. შარაძის სტამბა  
Николаевская, № 21. || ნიკოლ. ქუჩა, № 21

Доз. цензурою. Тифлисъ, 17 Декабря 1892 г.

# თამარ მეფე

(1184—1213)

თამარის გამეფება.—მისი პირველი განკარგულებანი.—შემოსევა და განდევნა მტრებისა მისის მეფობის პირველს წლებში.

თამარ მეფის მშობლები იყვნენ მეფე გიორგი მესამე და ბურღუხან დედოფალი, ოსეთის მეფის ქალი. გიორგიმეფე იყო შესანიშნავი, როგორც ნიჭიერი მხედართ-მთავარი და გამგებელი. მან არამც თუ დაიცვა თავის პაპის დავით აღმაშენებლის მიერ აღდგენილი საქართველო, არამედ უფრო გააძლიერა. შესანიშნავი იყო აგრეთვე თავის ჭკუით და სიქველით დედა თამარისა ბურღუხან დედოფალი. მაგრამ ბურღუხანზე უფრო შესანიშნავი იყო თავის ჭკუით, სწავლით და კეთილზნობით მამიდა თამარისა რუსუდან, ხვარასნის სულთხის ნაცოლარი, რომელიც, ადრე დაქვრივებული და უშვილოდ დარჩენილი, ცხოვრებდა თავის ძმის სახლში და ზრდიდა თამარს,

როგორც თავის შვილს. ამიტომაც საკვირველი არ არის, რომ თამარი, გაზრდილი ამ ორთა ქალთა გავლენის ქვეშ, იყო განვითარებული გონებრივ და ზნეობრივ. ამ გვარს განვითარებასთან თამარი იყო შემკული მომხიბლავის სიმშვენეირათ.

გიორგი მეფეს არ ჰყავდა ვაჟიშვილი და ამიტომ თავის სიცოცხლეშივე მოინდომა თამარი გაემეფებინა. ქალის გამეფება საქართველოში წინაღ არას დროს არ მომხდარიყო და ამიტომ ამისთანა საქმისთვის საჭირო იყო ქვეყნის წარჩინებულების თანხმობა. გიორგი მეფემაც თავის განზრახვა გაუზიარა წარჩინებულებს და მათგან მიიღო სრული თანხმობა. მაშინ მან შეკრიბა პატრიარქებისკოპოსები, დიდებულები, ვეზირები, სპასპეტები, სპასალარები და მათ წინაშე გამოაცხადა საქართველოს მეფედ თამარი (1181 წ.). თითონვე დაადგა თამარს სამეფო გვირგვინი, დალოცა და შეჭფიცა ერთგულება. ერთგულება შეჭფიცეს თამარს აგრეთვე ყველა წარჩინებულებმა.

მართალია, გიორგი მეფემ მეფობა თამარს დაულოცა, მაგრამ ნამდვილად კი ისევე თითონ განაგებდა საქმეებს. თამარი ამ დროს უკვირდებოდა სამეფო საქმეებს და იძენდა გამოცდილებას. გიორგი მეფემ იცოცხლა კიდევ სამი წელიწადი თამარის გამეფების შემდეგ და დასტოვა თამარი საკმაოდ მო-

მზადებული ქვეყნის საქმეების წარსამართებლად.

ძალიან შეწუხდა თამარი თავის საყვარელის მამის სიკვდილის გამო. ორის წლის წინად მოუკდა დედა და იგლოვა, როგორც წესი მოითხოვდა, მთელი ერთი წელიწადი. ახლაც მამის სიკვდილის გამო მიეცა გლოვას: დაემწყვდა სახლში, მოირთო ძაძით და აღარავის ინახულებდა. დიდებულებმა სთხოვეს რუსუდან დედოფალს, რომ ერჩია თამარისთვის ეკმარნა გლოვა და ჩვეულებრივის წესით ედღესასწაულნა სამეფო ტახტის დაჭერა. რუსუდანის რჩევით თამარმა გაათავა გლოვა და დანიშნა დღე დღესასწაულობისთვის. ამ დღისთვის შეიკრიბენ ტფილისში ყველა მთავრები, დიდებულები, პატრიარხი, ეპისკოპოსები და ჯარი. ქუთათელმა მთავარ-ეპისკოპოზმა ანტონ სკლირიძემ აკურთხა თამარი და დაადგა გვირგვინი, დიდებულნი და ჯარი წარსდგენ თამარის წინაშე, თაყვანი სცეს და დალოცეს. მთელს ქალაქში სიხარული იყო გაუზომელი. ყველგან გადსმოდა სპილენძ-ქურთა, ქოსთა და წინწილთა. \*) ხმა აუარებელი მოწყალება გასცა თამარმა ამ დღეს გლახებსა, დავრდომილებსა და ობლებზე (1184 წ.).

საქართველო მუშინ წარმოადგენდა მაგარს და მტკიცედ აგებულს სწხელმწიფოს, რომლის თავი იყო

---

\*) სპილენძ-ქურთა, ქოსთა და წინწილი საკრავებია.

მეფე: მეფე განაგებდა ყოველისფერს: მართავდა, მოსამართლეობდა და იცავდა ქვეყანას: გარეშე მტერთაგან. მხოლოდ სხვა-და-სხვა სამძიმო საგნების გადაწყვეტის დროს მეფე ჰკრებდა წარჩინებულებს და მათთან ერთად სწყვეტდა საქმეს. მეფეს ჰყავდა მოხელეები, რომლებიც კერძოდ განაგებდნენ სხვა-და-სხვა საქმეებს მთელის სამეფოსას. ხოლო ქვეყნის ადვილად სამართავად მთელი სამეფო იყო გაყოფილი წვრილ-წვრილს ნაწილებად, რომლებსაც განაგებდნენ მეფის მიერ დაყენებული ერისთავები. ერისთავები იყვნენ უმაღლესი წარმომადგენლები მეფის უფლებისა საერისთავოში, მართავდნენ, ასამართლებდნენ და წინამძღვრობდნენ თავიანთ ქვეყნებთან მოკრეფილს ჯარს. თამარის წინაპრებმა საქართველოს დიდკაცობა მაგრად დაიმორჩილეს და მათ აფასებდნენ იმდენად, რამდენადაც ისინი ქვეყნისა და მათი ერთგულებით იყვნენ. ეს გარემოება, რასაკვირველია, არ მოსწონდათ დიდებულთა გვარებს, რომლებიც მწუხარებით ხედავდნენ თავიანთ გავლენის დაკარგვას და მეფეებს გაძლიერებას. ისინი არ მალავდნენ თავიანთ უკმაყოფილებას და ეძიებდნენ უკეთესს შემთხვევას, რომ დაებრუნებინათ თავიათი ძველებური გავლენა. ამნაირს შემთხვევად უკმაყოფილო დიდებულებმა სცნეს თამარის გამეფება. იმათ ეგონათ, რომ თამარი, როგორც ქალი, ვერ შეიძლებდა ისე მტკიცედ

მართვას, როგორც მის წინაპრები; მიეცათ იმედო-  
თავიანთ უფლებების აღდგენისა და ხმა-მალლა დაიწყეს  
ლაპარაკი: „ალარ დავემოწილებით ძველთა ხელის-  
უფალთა და გამგებელთა, ვინათგან მართგან დაცე-  
რცილნი და უპატიონი ვართ; და გვარიანნი და თვით  
მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახოდ დარჩე-  
ნილვართ უგვანთა და უხამთაგან“. მეთაურად ამ  
უკმაყოფილოთა გამოუჩნდა მეჭურჭლეთ-უხუცესი  
ყუთლუ-არსლან. მის თაოსნობით უკმაყოფილონი  
შეიკრიბენ და დადგენ ტფილისის ახლო ავლაბრის  
ველზე, აქ იმათ გადაწყვიტეს თამარისთვის შეეტყო-  
ბინებინათ თავიათი სურვილი იმის შესახებ თუ რო-  
მელი მოხელე გამოეცვალა და ვინ გაემწესებინა.  
თვითონ ყუთლუ-არსლანს უნდოდა ამირსპასალარო-  
ბა. თამარ მეფემ ამისთანა კადნიერებისთვის დააჭე-  
რინა ყუთლუ-არსლან. მისმა მომხრეებმა შეჰყარეს  
ლაშქარი და უნდოდათ თავიანთ მეთაური გაეთავი-  
სუფლებინათ. თამარმა მათ დასამშვიდებლად მიუ-  
გზავნა მათ ორი მანდილოსანი ქალი: დედა ქართლის  
ერისთავის რატი სურამელისა სოშაქ ცოქელი და  
დედა სამძივარებისა კარაკ ჯაყელი. ამათ პირით თამა-  
რი ყველას დაჰპირდა პატივებას, თუ დამშვიდდებო-  
დნენ. მოციქულების ჩაგონებით განდგომილები და-  
წყნარდნენ, მივიდნენ თამართან და ერთგულების ფი-  
ცი მისცეს. თამარმა გამოსცვალა მხოლოდ ის მო-

ხელენი, რომლებიც სიბერისა ან ავადმყოფობის გამო აღარ ვარგოდენ სამსახურისთვის. მაგალ. ამირ-სპასალრობა. ჩამოართვა ფილენჯისაგან დაუძლოურე-ბუღოს ყუბასარს და მისცა სარგის მხარგრძელს. ყუბასარსავე ეჭირა მანდატურთ-უხუცესობა, რომელიც თამარმა მისცა ჭიაბერს. მსახურთ-უხუცესობა ჩამოართვა აფრილონს და მისცა ვარდან დადიანს, მეჭურჭლეთუხუცესობა ჩამოართვა ყუთთლოუ-არსლანს და მისცა კახაბერ ვარდანძეს\*).

თამარის მეფობის დასაწყისში ერისთავებად იყვნენ: სვანეთში—ბარამ ვარდანძე, რაჭაში—კახაბერ კახაბერიძე, აბხაზეთში დოლათოს შარვაშიძე, ოდიშში—ბედიანი, ცხომში—ამუნელიძე, ქართლში—რატი სურამელი, კახეთში—ბაკურყმა ძაგანიძე, ერეთში—ასათ გრიგორიძე, სამცხეში—ბოცო ჯაყელი, კლარჯეთში—გუზან აბულასანიძე.

სამოქალაქო გამგეობაში წესის ჩამოგდების შემდეგ თამარმა მოახდინა საეკლესიო კრება საეკლესიო წესების გასაუმჯობესებლად. ამ კრებისთვის თამარმა დაიბარა იერუსალიმიდან ქართლის კათოლიკოზად ნამყოფი ნიკოლოზ გულაბრიძე, რომელსაც კათოლიკო

---

\*) ამირ-სპასალარი—შთელის სამეფოს ჯარის უფროსი; მანდატურთ-უხუცესი—პოლიციის უფროსი; მსახურთ-უხუცესი—უფროსი გამგებელი ციხეებისა და სალაშქრო იარაღისა; მეჭურჭლეთ-უხუცესი—უფროსი გამგებელი სამეფო ხაზინისა და ქონებისა.

კოზობა დატოვებული ჰქონდა სიმდაბლისა, გამო და-  
რომელიც გათქმული იყო თავის წმინდა ცხოვრე-  
ბით და სწავლით. კრებაზე დაესწრენ საქართველოს  
მღვდელ-მთავარნი, მონაზონნი და მეუდაბნოენი. არ  
დაესწრო მხოლოდ კათოლიკოზი მიქაელ, რომელიც  
თითონვე იყო საეკლესიო წესების დამრღვეველი. ამ  
კრებას ხელმძღვანელობდენ ნიკოლოზ გულაბრიძე  
და ანტონ ქუთათელი. კრებამ ჩამოავდრო წესიერება  
ეკლესიაში, გამოცვალა ბევრი ეპისკოპოზები და  
თვით მიქელ კათოლიკოზის გადაყენებაც უნდოდა,  
მაგრამ ეს ვერ მოხერხდა.

საქართველოში ქალის გამეფება იამათ მტრებს,  
რომელთაც ეგონათ, რომ მეფე ქალს ვერ შეეძლო  
ისეთი წინაამდევობა გაეწია მათთვის, როგორსაც  
მის წინაპრები უწევდენ. ამიტომ ისინი გათამამდენ  
და იწყეს შემოსევა საქართველოში. პირველად შე-  
მოესიენ რანისა და გელაქუნის თურქები და დაარ-  
ბიეს პალაკაციოს მხარე ძაღლის-ხევად წოდებული.  
მათ წინაამდევ გავიდა გამრეკელი კახაძე და მცირე  
ჯარით ბევრით უმეტესი მტერი გარეკა. ამათ შემ-  
დეგ შემოესიენ შავშეთისა და კრალჯეთის მხარეს  
კარნუქალაქელი, შამელი და გარმიანელი თურქები.  
ესენიც სწრაფად განდევნეს კლარჯეთის ერისთავმა  
გუზან აბულასანიძემ და სამცხისამ ბოცო ჯაყელ-  
მა. მტრების დასაწყნარებლად თვით ქართველებმაც

გაილაშქრეს მხარგრძელების ზაქარია და ივანე სარგისის შვილების და ზაქარია და სარგის ვარამის შვილების წინამძღოლობით ღვინის ქვეყანაში, საითგანაც დაბრუნდენ გამარჯვებულნი და ალაფით დატვირთულნი. მტრები მაინც არა სცხრებოდენ და ესხმოდენ საქართველოს სხვა-და-სხვა მხრით. მაგრამ საქართველო იმ ნაირად იყო მოწყობილი, რომ თვით ადგილობრივი ლაშქარი იგერებდა მტრებს, როგორც მატთანე ამბობს, ლაშქრობდენ ქვემონი ქვემოთ, ზემონი ზემოთ და შუანი შუათ, და ყოველგნით ძლევამოსილნი და გამარჯვებუნი მადლობდენ ღმერთსა“.

## II

თამარის დაქორწინება გიორგი რუსზე.—გიორგი რუსის ლაშქრობანი.—გიორგის ცუდის ქცევის გამოჩენა და მის განდევნა საქართველოთგან.

თამარის გამეფებას თან მოჰყვა იმისთანა სამძიმო და დიდის საქმის გადაწყვეტა, როგორიც მის საქმროს შოვნა იყო. ქალის გამეფებით შეიძლება სამეფო გვარი გამოცვლილიყო და მეფობა ჩავარდნოდა სრულებით ახალს გვარს, ამიტომაც საქართველოს დიდებულები დიდს ყურადღებას აქცევდენ იმას თუ ვის შეირთავდნ თამარი. თამარი არა ჩქარობდა ქმრის შერთვას, მაგრამ დიდებულებს კი ეჩქარებო-

დათ, რადგან ჯერ ერთი ყველხს უნდოდა მალე და-  
ენახა ბუ ვინ გახდებოდა მომავლის მეფეების წინა-  
პარი, მეორე მხრით საჭირო იყო ტახტის მემკვიდ-  
რის ყოლა, რომ ყოველის შემთხვევისთვის თამარის  
შემდეგ ტახტი არ დარჩენილიყო უმეფოდ. თამარის  
შერთვის მსურველნი, რასაკვირველია, ბევრი იყვნენ  
და ამათში ერთ-ერთის არჩევა იმოდენადვე დიდებუ-  
ლების საქმე იყო, რამდენადაც თვით თამარისა. ბევ-  
რის რჩევისა და თათბირის შემდეგ დიდებულებმა მი-  
იღეს რჩევა ქართლის ამირას (თავადის) აბულ-ასანისა,  
რომ თამარის საქმროდ მოეყვანათ რუსეთის დიდის  
შთავრის ანდრიას შვილი გიორგი, რომელიც თავის  
ბიძის მიერ გამოძევებული ცხოვროვბდა ყივჩაყეთში  
ქალაქს სვინჯუბ. პირველის შეხედვით არ იყო ური-  
გო ეს რჩევა, გიორგი იყო გამოჩენილი თავის ჩა-  
მომავლობით და მასთან მართლ-მადიდებელი. ამას  
გარდა მისი სამშობლო—რუსეთი—ძალიან შორს  
იყო საქართველოზე, ასე რომ რუსის გამეფება სა-  
ქართველოში არ უნდა ყოფილიყო საშიში პოლი-  
ტიკურად. გიორგის მოსაწვევად დიდებულებმა ვა-  
გზავნეს ყივჩაყეთს ტფილისის მცხოვრებელი მდიდა-  
რი ვაჭარი ზანქან ზორობაბელი. ამან რამდენისამე  
ხნის შემდეგ მართლაც მოაყვანა გიორგი რუსი, რო-  
მელიც დიდებულებს მოეწონა და თავის მშვენიერის  
გარეგნობით. იმათ მაშინათვე მოლსპარაკება გამარ-

თეს რუსუდან ღვდოთალთან, რომ თამარი დაეთანო  
ხმებიანა გიორგი რუსის შერთვაზე, თამარმა ამ წინა-  
დადებაზე ასე უპასუხა დიდებულებს: „როგორ შეი-  
ძლება ამ ნაირის საქმის ქმნა, როდესაც არ ვიცით  
ამ უცხო ვაცის არც ქცევა, არც ჩვეულება, არც  
მხედრობის ნიჭი და არც სიქველის საქმენი. დაიცა-  
დეთ ვიდრემდის გაიცნობდეთ მავ კაცს.“ დიდებუ-  
ლებმა არ შეისმინეს ეს საფუძვლიანი პასუხი თამა-  
რისა და ითხოვდნენ, რომ რაც შეიძლება მალე მო-  
მხდარიყო ქორწინება, რადგან, მათ თქმით, საჭირო  
იყო წინამძღოლი მხედრობისა. რუსუდანიც აპყვა  
დიდებულებს და დათანხმა თამარი, რომ გიორგი  
შეერთო დიდის ამბით გადახდილ საქმნა ქორწილი  
თამარისა და გიორგი რუსისა (1187 წ.). ქორწილის  
დღესასწაულებმა მთელი ერთი კვირა გასტანეს.  
ღვინს, ძღვნობას და წყალობის გაცემას არა ჰქონ-  
და ზომა. დიდებულებმა დაიმშვიდეს გული. საქართველოს  
მხედრობას გაუჩნდა საერთო წინამძღოლი და ქარ-  
თველებმა იწყეს ლაშქრობა გიორგი რუსის წინა-  
მძღოლობით. პირველად გიორგმ გაილაშქრა ყარ-  
სისა და კარნიფოლდის ქვეყნებში, მოარბია ისინი და  
გამარჯვებული დაბრუნდა ამის შემდეგ გაილაშქრა  
დვინის ქვეყანაში, მას უკან გელაქუნისაში და ბო-  
ლოს შეესია. დიდის ლაშქრით ქვემო მხარეს და მოუ-

ილაშქრო მასისამდის (არარატამდის). ქართველები ყველგან იმარჯვებდნენ, არბევდნენ ქვეყნებს და ტყვი-თა და ალატით ბრუნდებოდნენ უკან. ამის შემდეგ მოსამზღვრე ხალხები იძულებულები შეიქმნენ ხელი აეღოთ დროგამოშვებითს შემოსევაზე საქართველოს არემარეში და მტრობის მაგიერ მეგობრობა დაუწყეს თამარ მეფეს.

მართალია, გიორგი რუსი კარგი მხედარი გამოდგა, მაგრამ მასთანვე მან გამოიჩინა საძაგელი ზნე-ნი: ლოთობა, გარყვნილება და სხვა ცუდი საქციე-ლი. თამარის სიტყვები გამართლდნენ, რომ საჭიროა გავიცნოთ კაცი და მერე გადავწყვიტოთ ქორწინე-ბაო. დიდებულებს სცხვენოდათ თამარისა და ნანო-ბდნენ, რომ თითქმის ძალად შერთეს მას ასეთი უზ-ნეო კაცი. თამარი მოთმინებით უცქეროდა გიორ-გი რუსის საძაგელს ქცევას და ცდილობდა რო-გორმე გაესწორებინა. ჯერ მიუჩინა საპატიო და გა-ვლენიანი სამღვდლო პირები, რომ დაერიგებინათ, მაგრამ გიორგი რუსი არ იშლიდა. მერე თითონ თა-მარმა პირადად დაუწყო მხილება და დარიგება. რუს-მა უარესობა დაიწყო, შეურაცხებას აყენებდა საპა-ტიო პირებს და თამარის უკმაყოფილებას არად აგ-დებდა. მაშინ თამარმა ხელი აიღო გიორგიზე და ახლო აღარ მიიკარა. ესეა უნდოდა რუსუდანს და დიდებულებს, იმათ გადაწყვიტეს, რომ გიორგი რუსი

სრულებით გაეძევებინათ საქართველოთგან. როგორც შეეფერებოდა სამეფო პირს, დიდის პატივით გაისტუმრეს გიორგი რუსი კოსტანტინეპოლს. (1192 წ.).

### III

თამარის საქმროები.—მისი მეორედ დაქორწინება დავით სოსლანზე.

რუსის გაძევების შემდეგ საქართველოს დიდებულებს ხელახლა გაუხდათ ასარჩევად თამარისთვის საქმრო. რაკი პირველი ქმარი გაძევებულ იქმნა, ახლა უფრო ბევრნი აღმოჩნდნენ თამარის ხელის მადიებელნი. ქართველთ შორის ხომ მრავალნი იყვენ ისეთნი, რომელნიც ჩუმად იწოდნენ თამარის სიყვარულით და ტრფობით. ამას გარდა ბევრი უცხო მეფენი და მეფის წულები ნატრობდნენ და ეძიებდნენ თამარის ხელს. მათ შორის იყვენ: ბერძენთა იმპერატორის მანუელის უფროსი შვილი პოლიკარპოს, ასურსტანის და შუამდინარის სულთნის სალადინის შვილი, სულთნის ყიზარსლანის შვილი მუტაფრადინ და შირვანშა აღსართან (შირვანის მეფე, რომელიც საქართველოს მორჩილი იყო). ორნი უკანისკნელნი დიდის ამბით მოვიდნენ საქართველოში თამართან და მზად იყვენ დაეტოვებინათ მუსულმანობა, თუ თამარი გააბედნიერებდა მათ. თამარმა ისინი მიძლო და

ისტუმრა, როგორც შეეფერებოდა სამეფო პირებს. მუტაფრაღინი რამდენსამე თვეს დარჩა საქართველოში, მაგრამ ვერ ეღირსა თამარის თანაგრძნობას და იმედის დამკარგველმა შეირთო სხვა ქალი, რომელიც მათიანის მოწმობით, იყო ხარკისგან (ხასისგან) ნაშობი მეფის ასული, შეიძლება თვით თამარის უკანონო დაც, ეს იმიტომ უფროა საფიქრებელი, რომ თამარმა გადაუხადა მათ დიდებული ქორწილი და დიდი მზითვევიც მისცა მუტაფრაღინს. შირვანშა აღსართანმა-კი იმის მიუხედავად, რომ თამარის ნათესავი იყო (თამარის პაპის დავით აღმაშენებლის ასული იყო აღსართანის დედა), ტფილისში ყოფნის დროს ნახა გავლენიანი პირები, სხვათა შორის თამარის მოძღვარი და კათოლიკოზი, და დიდის ძღვნის მიცემით და მუსულმანობის დატოვების დაპირებით, სთხოვა მათ, რომ მოეხერხებინათ როგორმე მის თამართან დაქორწინება. ბევრმა შირვანშასაგან მოსყიდულმა ჰკადრა მეფეს, რომ შეერთო შირვანშა, მაგრამ თამარმა შორს დაიჭირა მათი რჩევა და უსაყვედურა მათ ამისთანა რჩევისათვის. მისის ბრძანებით შირვანშა გაისტუმრეს დიდის პატივითა და საჩუქრებითა.

თამარისთვის საქმროს არჩევის დროს დიდებულებმა ყურადღება მიაქციეს, რათა მეფის შვილს დავით სოსლანს, რომელიც ნათესავად მოხვდებოდა სა-

ქართველთა სამეფო სახლს და გვარადაც ბაგრატიონი იყო. დავით სოსლანზე რუსუდან დედოფალს პატარაობითვე შეიღობილად ჰყავდა აყვანილი და ზრდიდა თავისთან. ვაჟკაცობასა და ტანადობასთან დავითი შესანიშნავი იყო თავის ზნეობრივის და გონებრივის განვიჭარებით, რისთვისაც უყვარდათ ქართველებს. დიდებულებმა გადაწყვიტეს, რომ ეს ვაჟკაცი, ნათესავი ქართველთა მეფის გვარისა და აზრდილი საქართველოშივე რუსუდანის ხელმძღვანელობით, იქნებოდა ღირსეული მეუღლე თამარისა. თავიანთ აზრი დიდებულებმა რუსუდანს შეატყობინეს. რუსუდანსაც მოეწონა ეს აზრი, რომელიც იმის ბრძენობით თამარის საკუთარს გრძნობის გამომთქმელი უნდა ყოფილიყო. რუსუდანს უყვარდა, ცხადია, თავის გაზრდილი დავითი და თამარსაც, მასთან ერთად შეზრდილს, არ შეიძლება არ ჰქონოდა მისადმი თანაგრძნობა. ეს იქითგან სჩანს, რომ დიდებულების წინადადება მაშინვე მიღებულ იქმნა თამარისგან. დავითისა და თამარის ქორწინება დიდის ამბით იქმნა გადახდილი დედუბის სასახლეში (1193 წ.), რუსუდან დედოფალმა ყოველივე ღონე იხმარა, რომ დიდებულად ედღესასწაულათ ეს სასიხარულო ამბავი. ბაგრატიონთა გვარში მძღებულს ქორწილის წესს მან დაურთო ხვარასნული და ერაყული ცერემონიები, რის გამოც დღესასწაულობა მეტის-მეტად

ბრწყინვალე გამოვიდა. ქორწილს ხალხი აუარებელი დაესწრო. ქეიფი გააწევინეს უმრავლესს ჯარს და უსაზომო მოწყალება მისცეს გლახებს და ქვრივობლებს.

#### IV

გიორგი რუსის პირველი შემოსევა საქართველოში და ერისთავების ღალატი.—მათი დამარცხება და გიორგის ხელ-მეორედ განდევნა.

როგორც სჩანს, დავით სოსლანი ბევრი ტვის არ ყოფილა სასურველი, რადგან მის თამართან და ქორწინების შემდეგ გაიმართა ერისთავთა შორის შეთქმულობა, რომელსაც მიზნად ჰქონდა გიორგი რუსის დაბრუნება საქართველოში და მის უფლების აღდგენა, როგორც თამარის მეუღლისა. ამ შეთქმულობაში მონაწილეობა მიიღეს მსახურთ-უხუცესმა ვარდან დადიანმა და ერისთავებმა სამცხისამ, კლარჯეთისამ, ოდიშისამ, აფხაზეთისამ, სვანეთისამ და რაჭისამ. ამათ შეუთვალეს გიორგი რუსს, რომ შემოსულიყო საქართველოში თავის უფლების აღსადგენად. გიორგი რუსმა დაუჯერა მათ, იშოვა საბერძნეთში მეშველი ჯარი და მოვიდა საქართველოს საზღვრად არზრუმში, საითგანაც შემოვიდა კლარჯეთში. აქ ის მიიღეს კლარჯეთისა და სამცხის ერის-

20660



თავებმა და გადმოიყვანეს იმერეთს, სადაც შეიყარენ მთელის იმიერ-საქართველოს დიდებულები, და გეგუთში გამოაცხადეს თამარის კანონიერს მეუღლედ (1194 წ.).

სრულიად მოულოდნელი იყო თამარისთვის ასეთი განდგომილება. მაშინათვე მოუწოდა ერთგულს ერისთავებს და დიდებულებს ქართლისას, კახეთისას, სომხეთისას და სამცხისას. დიდებულებმაც გამოაცხადეს განცვიფრება და დაარწმუნეს თამარი, რომ იმათ არა იცოდენ-რა შეთქმულობისა. თამარი ეძიებდა გადგომილობის მიზეზს და ვერ ეპოვნა. განდგომილებთან გაგზანა მოციქულებად თევდორე პატარაჩი, ჭყონდიდელი ანტონ ქუთათელი და სხვა ეპისკოპოზები და ვაზირები, მაგრამ გადაჭრილი პასუხი ვერ მიიღო.

განდგომილებმა გეგუთში ორად გაჰყვეს ლაშქარი. ერთმა ნაწილმა გიორგი რუსის წინამძღოლობით გადმოიარა ციხის მთა, მოაოხრა ქართლის არენი და დადგა გორსა და კარაღეთს (ნაქარმაგევს) შუა. მეორე ნაწილმა დადიანებისა და ბედიანების წინამძღოლობით გადმოიარა რკინის-ჯვარი და ჩავიდა ციხის-ჯვარს, სადაც დასწვა ქალაქი ოძრახე, რომელიც ეკუთნოდა ივანე ანუ ყვარყვარე ციხის-ჯვარელს, თამარის ერთგულს დიდებულს. ამათი განძრახვა იყო აეღოთ ჯავახეთი, თმოგვი და ახალ-

ქლაქი, შემდეგ თრიალეთი და სომხეთი და მასუკან მისულიყვენ ტფილისზე, სადაც იმავე დროს უნდა მისულიყო გიორგი რუსი. თამარ მეფის ბრძანებით ამირსპასალარი გამრეკელი და მხარგრძელები წაუძღვენ ჯარს ჯავახეთში განდგომილების წინაამდევ, რომელთაც ისინი შეხვდენ მტკვრის პირად ხიდთან. ზედ ხიდზე შეექნათ ომი მოწინაამდევებს. საღამომ გაჰყარა ისინი. განდგომილებმა იმ ღამეს არჩიეს უკეთესის ადგილის დაჭერა თამარის ჯართან შესაბრძოლებლად და გაემართენ განძის მთისკენ, მაგრამ არც ეს ადგილი მოეწონათ და იქითგან მივიდნენ ნიალის ველზე ხინგრის (ქობარეთის) წყლის პირს. თამარის ჯარი დაედევნა განდგომილებს და ნიალის ველზე გაუმართა მათ ომი. ორისავე მხრით ვაჟკაცურად ომობდენ, ბოლოს თამარის ჯარმა აჯობა განდგომილებს, რომლებიც გაიქცენ. თამარის მხრით ზარალი დიდი არაფერი მომხდარა. მხოლოდ ივანე მხარგრძელი დაიჭრა. მიიღო თუ არა ამ გამარჯვების ამბავი, თამარმა მაშინვე შეკრიბა დიდებულები ზრახვის (რჩევა, თათბირი) მოსახდენად. დიდებულებმა გადაწყვიტეს ლაშქრის გაგზავნა გორის ახლოს მდგარის გიორგი რუსის წინაამდევ, რომელსაც კიდევც მისდგომოდენ ზოგიერთი ქართლის დიდებულები და ზოგიერთი მთიულებიც. ჯარს წაუძღვა დავით სოსლანი, მაგრამ ისევ მალე დაბრუნდა ტფი-

ლისს, რადგან გიორგი რუსი, შეეტყო თუ არა თავის მომხრეების ამბავი, გაქცეულიყო იმერეთს ჯარიტურთ.

თამარის გამარჯვებამ დაათქრა განდგომილები და თავი დაამორჩილებინა ისევ მისთვის. ზოგნი თავისთავად გამოცხადდნენ თამართან ყელ-საბელ-მომობმულნი, ზოგთა ითხოვეს შენდობა რუსუდანის, კათოლიკოზის, ეპისკოპოზების და მანდატურთ-უხუცესის შუამდგომლობით. თამარმა ყველას აპატივა დანაშაული. მაშინ დანარჩენნიც მოვიდნენ თამართან კარაღეთში და გამოუცხადეს ერთგულობა. სვანეთის დიდებულებმა თან მიიყვანეს გიორგი რუსიც. თამარმა გიორგისაც შეუნდო და მისცა ნება, რომ ხელშეუხებლად წასულიყო საქართველოდგან. გიორგი რუსი სამძვრამდის მიაცილა ივანე მხარგრძელმა და წავიდა ისევ კოსტანტინოპოლს.

განდგომილების დაწყნარების შემდეგ თამარ მეფემ დააჯილდოვა ვინც ერთგულობა გამოიჩინა. ზოგს უმაღლესი თანამდებობა მისცა, ზოგს მამული, ქალაქები და ციხეები. დამარცხებული და შეწყალებული დიდებულები შეიქნენ თამარის ერთგულნი. მხოლოდ კლარჯეთისა და შავშეთის ერისთავმა გუზან აბულასანიძემ\*) არ მოიშალა თამარის ორგუ-

\*) გუზანი იყო შვილი იმ თავადის აბულასანისა, რომელმაც ქართველებს ურჩია გიორგი რუსის მოყვანა. აბულასანი,

ლობა და ბოლოს კიდევ მიუღვა შაჰერმანს, რომელთანაც წავიდა და რომელსაც გადასცა თავის საერისთვოს ციხეები. თამარ მეფემ რომ შეიტყო გუზან აბულასანიძის ღალატი, გაგზანა ჯარით კლარჯეთის და შავშეთის დასაჭერად სარგის თმოგველი და კახა სამცივარი. კოლაში ამათ შეიტყეს, რომ შაჰერმანის ჯარი გუზანის შვილის წინამძღოლობით შემოსულიყო კლარჯეთში ციხეების დასაჭერად და გუზანის ცოლ-შვილის წასაყვანად. თურქები იყვენ ბლომად, მაგრამ სარგის თმოგველი და კახა სამცივარი არ დაერიდენ და შეებენ. თურქები დამარცხდენ და უკუ იქცენ. ქართველებმა დაიჭირეს კლარჯეთის ციხეები და შეიპყრეს გუზანის ცოლ-შვილი. ბოლოს თვით გუზან აბულასანიძეც, რომელიც არ დაცხრა და ყაჩაღურად ესხმოდა კლარჯეთს, შეპყრობილ და დასჯილ იქმნა დავით სოსლანისგან სიკვდილით.

## V

დავით სოსლანის პირველი ლაშქრობანი.—გიორგი რუსის ხელმეორედ შემოსევა და განდევნა.—შანქორის ომი და განჯის აღება.

დავით სოსლანი გამოდგა ღირსეული მეუღლე თამარ მეფისა. ის აკმაყოფილებდა იმას, რასაც ერი

---

უეჭველია, ყივჩაყელი უნდა ყოფილიყო, როგორც თვით ამირსპასალარი ყუბასარიც.

ითხოვდა თამარის ქმრისგან—ვაჟკაცობას და ლაშქრის წინამძღვრობას. მის წინამძღვრობით ქართველებმა მოილაშქრეს მოუსვენარი მოსამზღვრე ქვეყნები არაქსსა და აზრუმამდის. ამ ლაშქრობათაგან ქართველები ბრუნდებოდნენ მრავალის ტყვით და ალაფით.

იმ დროს, როდესაც ქართველები სცემდნენ რისხვას და სიშის ზარს მეზობელს მტრებს, თავის მოუსვენარის ხასიათის გამო კოსტანტინოპოლითგანაც გამოძევებული გიორგი რუსი მივიდა ადირბეიჯანის ათაბაგთან\*) და მფარველობა სთხოვა. ათაბაგმა ამირბუბაქარმა სიამოვნებით მიიღო ეს საქართველოს მტერი რუსი და საცხოვრებლად მისცა არანის (განჯის) ქვეყანა. გიორგი რუსმა აქ იშოვა ჯარი, შემოესია ქიზიყს და მოარბია ეს ქვეყანა. გაიგო თუ არა რუსის შემოსევა ხორნაბუჯის ბატონმა\*\*) მახატელიძემ, მაშინვე გამოეკიდა მას თავის სამის შვილით და მცირეოდენის ჯარით, გაუმართა ბრძოლა და დაამარცხა (1196 წ.). გიორგი რუსმა უშველა თავს გაქცევით ორის მონის ამარამ. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ გაქრა სახსენებელი გიორგი რუსისა.

ქართველების ლაშქრობას და გამარჯვებას, რა-

---

\*) ათაბაგი იყო მართებელი მეფესავით.

\*\*\*) ხორნაბუჯის ბატონი ე. ი. ხორნაბუჯის ციხის უფროსი.

საკვირველია, უნდა გამოეწვია მტრების მხრითაც წინაამდგობა და მეცადინეობა, რომ საქართველოს სიძლიერე დაემხოთ. აღირბეყანის ათაბაგმა ამირ-ბუბაქარმა მიმართა ხალიფას\*) და სთხოვა, რომ გაცა ბრძანება, რათა მთელის მის საბრძანებლითგან შეკრებილიყო ჯარი საქართველოს წინაამდგე გასალაშქრებლად. ხალიფამაც გაცა ასეთი ბრძანება და გადასდო თავის ხაზინითგან აუარებელი ოქროვერცხლი ამ ლაშქრობისთვის, რომელსაც უნდა ბოლო მოეღო მეტისმეტად გაძლიერებულის საქართველოსთვის. აღირბეყანის ათაბაგის ძმა ამირმირანი ცხოვრებდა თავის სიმამრს შირვანშა აღსართანთან, ამირბუბაქარის მიერ გამოძევებული. როდესაც ამირმირანმა გაიგო თავის ძმის განძრახვა, გამოუგზანა მოციქულები თამარ მეფეს და სთხოვა, რომ მიეთხოვებინა მისთვის ქალი და შესწევნოდა თავის სამეფოობელოს დასაბრუნებლად. თამარმა ასულის მითხოვებაზე უარი უთხრა, ხოლო შეელას კი დაჰპირდა. იმავე დროს თამარმა გაცა ბრძანება ჯარი შეკრებილიყო ყველა მხრითგან, რომ ძხად ყოფილიყო მტრის დასახვედრად. ლაშქარი მალე შეიყარა და დაბანაკდა სომხეთში. ქართველის ლაშქრის გარდა

---

\*) ხალიფა ხელმწიფეა მაჰმადიანთა ქვეყნებისა, რომელიც ბოლოს გადაიქცა უმადლესს სასულიერო პირად.

თამარს ჰყავდა კიდევ სამუდამო ჯარი ყივჩაყთავან, რომელსაც იმ დროს უფროსობდა თვით ყივჩაყთა-მეთის ძმა სევეინჯი-სავალთი. ამირ-მირან და შირვან-შა აღსართან თავიანთ ჯარით და მხლებლებით მოვიდნენ საქართველოში. თამარ მეფემ და დავით სოსლანმა დიდის ამბით მიიღეს; და დიდის პატივით ისტუმრეს ისინი. თამარ მეფემ ისურვა, რომ ისინი მიეღო ტფილისში კი არა, არამედ აგარაში (სომხეთში). რუსუდან დედოფლის განკარგულებით აგარათა ქალაში დადგეს კარავი და მორთეს დიდებულად. შიგ დადგეს ოქროს ტახტი თამარისთვის. ტფილისითგან რომ გაემართენ აგარაში თამარი, დავით და მათი შვილი გიორგი ლაშა, გზაში მათ რიგრიგად ეგებებოდნენ სხვა-და-სხვა თემის ჯარები. პირველად მიეგებნენ ყივჩაყები და ოსები, შემდეგ ერელები და კახელები, ამათ შემდეგ ქართლები, შემდეგ მესხები, თორელები და შავშ-კლარჯ-ტაოელები, ამათ შემდეგ სომხითარები და ბოლოს აფხაზები, სვანები, მეგრელები, გურულები და რაჭა-თავკვერ-არგველები. თვით კარავის კარს თამარსა და დავითს მიეგებნენ ხელისუფლები და შინაურები. თამარ მეფე დავით სოსლანი და გიორგი ლაშა რომ შევიდნენ კარავში, მათ შემდეგ პირველად შევიდა შირვან-შა, როგორც ნათესავი და მოიკითხა მეფენი. შირვან-შას მიჰყვა ამირმირან, ამას მათი დიდებულები. თამარმა დიდის

მოწყალეებით მიიღო ყველანი და გაუმართა ჰურობა და ნადიმი. თამარი დარჩა აგარაში ერთი კვირა, რის გამავლობაში სტუმრებს ანადირებდა, ანადიმებდა და ართობდა. ასეთს ქეიფსა და გართობაში იყვენ სტუმრები და მასპინძლები. როდესაც მოვიდა ამბავი, რომ ათაბაგს ჯარი შეუყრია და ნახჩენითგან საქართველოსკენ მოდისო. თამარ მეფემ მაშინვე შეყარა დიდებულები და მოახდინა ზრახვა. დიდებულემა გადაწყვიტეს ახალის ჯარის მოწვევა. ანტონ ჭყონდიდელმა გაგზანა სამეფოს ყველა კუთხეებში ბრძანება, რომ ლაშქარი სწრაფად შეგროვილიყო, ხოლო მონასტრებსა და ეკლესიებს მიუწერა, რომ განუწყვეტელი ღამისთევანი და ლიტანიობანი აესრულებინათ. ათის დღის გამავლობაში ყოველმხრით მოვიდა ქართველი ლაშქარი, რომელმაც დაიბანაკა სომხეთში. თვით თამარ მეფემ დაათვალიერა შეკრებილი ჯარი და მიმართა მათ შემდეგის გამამხნეებელის სიტყვებით: „მანო ჩემნო! ნუ შეძრწუნდებათქვენნი გული სიმრავლისათვის მტერთა და სიმცირისათვის თქვენისა, რადგან ღმერთი ჩვენთან არს. თქვენ იცით, რომ გედეონმა სამასის კაცით ურიცხვი მადიანელობა მოწყვიტა. აგრეთვე იცით, რომ ეზეკიას ლოცვით ანგელოსის მიერ დამარცხებულ იქმნენ ასურასტნელები. მიენდეთ მხოლოდ ღმერთსა, იყავით გულით მართალნი მის წინაშე და იქონიეთ

სასოება ქრისტეს ჯვრის მიმართ. გაეშურეთ მტერთა ქვეყანაში და შემწე იქნება ყოვლად წმინდა ღვთისმშობელი და უძლეველის ჯვრის ძალი“. დალოცა ლაშქარი და გაისტუმრა. ლაშქარს წინ მიუძღოდა ანტონ ჭყონდიდელი ძელიცხოველით, ხოლო მთავარ-სარდლობდა დავით სოსლანი. მასთან იყვენ ყველა ქართველი მხედართ-მთავარი და შირვანშა და ამირ-მირან თავიანთ ჯარით. როდესაც ქართველები მივიდნენ ძეგამს შანქორის ახლოს, აქ შეიტყეს მზვერავებისაგან, რომ შანქორსა და განჯას შუა დაბანაკებული იყო აუარებელი მტრის ჯარი. დავით სოსლანმა მაშინვე გააწყო ჯარი რაზმ-რაზმად და დასძრა შანქორისკენ მტერთა შესახვედრად. ქართველების ჯარი გაიყო ორად სხვა-და-სხვა მხრით შანქორის მოსავლელად. დავით სოსლანი თავის რაზმით გავიდა მტკვარს და მის მოწინავეებს შეექმნათ ბრძოლა მტერთან, რომელსაც ხელს უწყობდა გზისა და ადგილის უვარგისობა. ხშირი ბალები და კაბანები (ქვალოჯი) უშლიდნენ ქართველებს თავისუფლად სიარულს. მოწინავეები შეწუხებულნი იყვენ მტერთაგან. ზაქარია ვარამის ძეს მხარგრძელს და ბევრს სხვა წინამბრძოლს დიდებულს მოუკლეს და დაუჭრეს ცხენები, ასე რომ მათი საქმე ცუდად იქნებოდა, იმ დროს მათ რომ არ მიშველებოდნენ ზაქარია და ივანე სარგისის ძენი მხარგრძელნი, რო-

მელთაჲც გაამხნევეს და გაამაგრეს ისინი. მალე თვით დავით სოსლანიც მივიდა მათთან და, რა იხილეს გაჭირებულმა მოწინავეებმა დავითი და მისი რაზმის დროშა, — დროშა, რომელიც ვახტანგ გორგასლანს ჰქონდა ინდოეთში და თითქო სიბერისაგან სულ გათეთრებულიყო, უფრო გაბედულად შეუტიეს მტრებს. მტრები ახლა-კი შეირყენ, ველარ გამაგრდენ ერთს ადგილს და ზურგი აბრუნეს. ქართველები დაედევნენ და გააქციეს აურაცხველი ჯარი. ქართველებმა სდიეს მათ კარგა შორს მანძილამდის, დახოცეს, დაატყვევეს მრავალი და მთელი მათი ქონება ხელთ იგდეს. სალამოზედ შემოიქცენ ისევ შანქორისკენ და გაათიეს ღამე იმ ალაგს, სადაც წინაღამით სპარსელები იყვნენ. მეორე დღეს დილით შანქორელები მოვიდნენ დავითთან და მიართვეს ციხის კლიტე. დავითმა აიღო შანქორი და მის მიმდგომი ციხე-ქალაქები და, დაპირებისამებრ, გადასცა ამირ-მირანს (1203 წ. თიბათვეში).

შანქორის აღების შემდეგ დავით სოსლანი მიადგა განჯას. წინ გამოეგებენ მას ქალაქის დიდებულები, დიდ-ვაჭრები, ყადები და მუსალიმები; თაყვანი სცეს და სთხოვეს მშვიდობა. დავითი დაჰპირდა მშვიდობას და დიდის ამბით შევიდა ქალაქში. გზა ქალაქის კართიდან სულთნის სასახლემდის დაფენილი იყო სტავრითა. მიმავალს დავით სოსლანს ხალ-

ხი ეგებებოდა თაყვანისცემითა და აყრიდა ოქროსა და ვერცხლსა. დავით სოსლანი შევიდა სულტნის სასახლეში და დაჯდა სასულტნო ტახტზე. მაშინათვე შეიქნა დარბაზობა. შირვანშამ და ამირმირანბა დაიჭირეს დავითთან მახლობელი ადგილი. მათ შემდეგ დასხდნენ ქართველი დიდებულები თავ-თავის ადგილს, როგორც წესი იყო. გაიმართა პურობა და ნადიმობა. განჯელებმა დიდძალი ძღვენი მიართვეს დავით სოსლანს და იტვირთეს ხარაჯა.

ქართველების გამარჯვებისა და განჯის აღების მახარებლად დავითმა თამართან გაგზანა მანდატურთუხუცესი ჭიაბერი, ხოლო რამდენისამე დღის შემდეგ თითონაც ქართველის ლაშქრით წამოვიდა ტფილისს. თამარ მეფე გაეგება ლაშქარს ქალაქის გარედ, მიულოცა გამარჯვება და მოიკითხა ყველანი დედაშვილურად. ტფილისის არე-მარე გაივსო ქართველის ლაშქრით, ტყვეებით და აუარებელის ალაფით. მატიანის თქმით, ტყვე და საქონელი იმდენი იყო, რომ ხელთ ეჭირა მთლად დიდუბის ველი ავჭალამდის. სახელდობრ ტყვე იყო 12,000, ავაზა 40,\*) ცხენი 20,000, ჯორი 7,000, აქლემი 15,000, ამათ გარდა აუარებელი ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი,

\*) ავაზა არის პატარა ვეფხვი, ნიშნავს აგრეთვე მეძებარს ძაღლს.

ქურქელი და ფარჩეულობა. ნატყვენავითგან სამეფოდ აიღეს ერთი მეხუთედი, დანარჩენი დაურიგეს ლაშქარს და მის წინამძღოლებს. ამ ნატყვენავში ერთი უფრო ძვირფასი და შესანიშნავი, თავის მნიშვნელობით მუსულმანთათვის, იყო თვით ხალიფას დროშა, რომელიც თამარ მეფემ შესწირა გელათის მონასტერს.

## VI

ყარსის დაჭერა:—ომი იკონიის სულთანს ნუქარდინთან და მის დამარცხება.—ტრაპიზონის იმპერიის დაარსება.—ყარსის დაკარგვა და ხელმეორედ აღება.

საქართველოს საზღვრების სიმაგრისათვის საჭირო იყო ყარსი, რომელიც ჯერ კიდევ თურქებს ეჭირათ. თამარმა ამიტომ გაგზანა ლაშქარი ამ ციხესასაღებად. რაკი ქართველების გალაშქრება შეიტყეს თურქებმა, არც კი გამაგრებულან, ანებეს ყარსს თავი და დაუტოვეს ქართველებს (1203 წ.). თამარმა ყარსის მცველად დანიშნა ივანე ახალციხელი. ივანე ახალციხელმა ყარსითგან იწყა გარემო ქვეყნების რბევა და დაიპყრო კიდევ ისინი. თამარმა უბოძა მასვე ყარსისა და მის მიმდგომი ქვეყნები და გახადა ამირათ-ამირად (მთავრად) და ათაბაგად (მართველად) ამ ქვეყნებისა.

საქართველოს მოსამზღვრე მუსულმანებმა იგრძნეს ქართველების ძალა და დაინახეს რომ მათი მტრობა ძვირად უჯდებოდათ. ამიტომ იმათ მიმართეს ხალიფას და სთხოვეს ეშუამდგომლა თამარის წინაშე, რომ მათი ქვეყნები არ აეოხრებინათ ქართველებს. ხალიფამ გამოუგზავნა თამარს მოციქულები ძღვნითურთ და სთხოვა, რომ დასჯერებოდა მუსულმანთაგან ხარჯის აღებას და არ ეხმარნა მათზე მახვილი. თიმარსაც ეს უნდოდა და ასეთი პასუხი მისცა ხალიფას: „აღმისრულებიეს თხოვნა შენი: რომელთაც ინებონ მშვიდობა თავთა თვისთა და მოიღონ ხარკი წინაშე ჩემსა, ამათდა მიმინიჭებიეს მეცა ცხოვრება ვედრებისათვის შენისა“.

მაგრამ იკონიისა და მცირე აზიის სულთანს ნუქარდინს არაფრად ეპიტნავებოდა ქართველების გაძლიერება, თუმცა მეგობრულად ექცეოდა თამარს, უგზავნიდა მოციქულებს და ძღვნებს. აგრეთვე თამარიც სამაგიეროს უხდიდა მოციქულებისა და ძღვნების გაგზავნით. შანქარის გამარჯვებისა და ყარსის აღების შემდეგ ნუქარდინმა გადაწყვიტა ქართველების წინააღმდეგ გალაშქრება და შურისძიება მუსულმანთა დამარცხებისთვის. ამ აზრით იმან გადასდო დიდძალი ფული, მოიწვია ყოველის მხრით ჯარი და ამხედრდა. მატიანის თქმით, იმან დასძრა 800,000 კაცი. საქართველოში შემოსევამდის თავის ძალ-ღო-

ნის მოიხედე ნუქარდინმა გამოუგზანა მოციქული-  
თამარ მეფეს და მოსწერა: „მე ნუქარდინ, სულთა-  
ნი ყოვლისა ცასქვეშეთისა, უმაღლესი, ანგელოსთა  
მსგავსი, ღვთის თანამდგომი, მოვლინებული დიდის  
მაჰმედისგან, მოვიმცნობ ქართველთა მეფეს თამარს:  
ყოველი ღიაცი რეგვენია. შენ გიბრძანებია ქარ-  
თველთათვის ხმლის აღება, ღვთისგან შეყვარებუ-  
ლის მუსულმანთა ერის დახოცვა და თავისუფალს  
ხალხზე ყმურის ხარკის დადება. ახლა მოვალ მუ,  
რომ გასწავლო შენც და შენს ერსაც არ აღება  
ხმლისა, რომელიც ღმერთს ჩვენთვის უბოძებია. გა-  
დარჩენით მხოლოდ ისინი გადამირჩებიან, რომლე-  
ბიც ჩემს მანდ მოსვლამდე თავს დამიკვრენ ჩემის  
კარვის წინ, აღიარებენ მოჰამედ მოციქულის ქადა-  
გებას და უარსა ჰყოფენ შენს სჯულსა.“ მოციქულ-  
მა არ იკმარა ამისთანა წერილის მოტანა და დიდე-  
ბულთა წინაშე თითონაც თქვა: „უკეთუ მეფემან  
თქვენმან დაუტევოს სჯული, იპყრას სულთანმან ცო-  
ლად, და უკეთუ არა დაუტევოს სჯული, იყოს ხარ-  
ქად (ხასად) სულთნისა.“ ამისთანა თავხედურმა სი-  
ტყუებმა საშინლად გაარისხა ამირსპასალარი ზაქარია  
მხარგრძელი და აღელვებულმა ისეთი ღონიერი სი-  
ლა გააკრა მოციქულს, რომ უკანასკნელი გულ-  
შეწუხებული წაიქცა. როდესაც ის მოსულიერდა,  
ზაქარია მხარგრძელმა უთხრა: „მოციქული რომ არ

ყოფილიყავ, სამართლიანი იყო პირველად ენის მოკვეთა შენი და შემდეგ თავისაჲ.

თამარმა, წაიკითხა თუ არა ნუქარდინის წერილი, მაშინვე მოიწვია დიდებულები და გამართა ბჭობა. დიდებულებმა დაადგინეს, რომ ფიცხლავ მოეხმოთ ლაშქარი და ომი გამოეცხადებინათ ნუქარდინისთვის. რამდენსამე დღეს შეიკრიბა მთელის საქართველოს ლაშქარი ჯავახეთში ვარძიის მონასტერთან. ჯარს მოთავეობდა დავით სოსლანი. ვარძითგან ქართველები დაიძრნენ ყარსისკენ. თამარიც წინ მიუძღოდა ქმართან ერთად. ყარსამდის ერთის დღის სავალი რომ დარჩა, თამარმა გააჩერა ჯარი და ნუქარდინთან გაისტუმრა მისი მოციქული, რომელსაც თავისიც თან გაატანა წერილითურთ. თამარი ამ წერილით ატყობინებდა ნუქარდინს, რომ ის გზანის მასთან თავის მხედრობას არა მის თაყვანის საცემლად, არამედ საბრძოლველად. შემდეგ გამოეთხოვა ჯარს, დაბრუნდა სამცხეს და დადგა ოძრახეს, სადაც მას ახლდნენ თევდორე კათოლიკოზი, ეპისკოპოზები და ივანე შავთელი.

ქართველები მივიდნენ ბასიანს, სადაც ნუქარდინი თავის ჯარით დაბანაკებული იყო. მტრის ბანაკს ეჭირა უშველებელი ალაგი. დამყარებულს თავის მრავალის ჯარის ძალაზე ნუქარდინს არც-კი ჰყავდა დაყენებული ყარაულები, რომ ქართველების მის-

ვლისთვის ედევნებინა თვალ-ყური. ამიტომ ქართველები ისე მივიდნენ ბანაკთან, რომ თურქებმა ვერა გაიგეს-რა. დავით სოსლანმა გააწყო ჯარი თავს დასასხმელად. წინამბრძოლებად, ჩვეულებისამებრ, დააყენა მესხები, რომელთაც წინამძღოლობდნენ ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი და ძმანი ახალციხელნი შალვა და ივანე; მარჯვენა მხრით იმიერნი, მარცხენა მხრით ამიერნი. ქართველებმა ააჩქარეს ცხენები და ისე გაემართნენ ბანაკისაკენ. თურქებმა რომ დაინახეს ქართველების ასეთი გულდაგული თავსდასხმა, შეეშინდათ და სიმაგრეებისაკენ გაეშურნენ. ქართველები უმეტესის სისწრაფით მიეტევნენ და გარს შემოერთყენ თურქებს. თურქები იძულებულები შეიქნენ ეომნათ. ომის დროს ივანე მხარგრძელს, ზაქარია ვარამის ძეს მხარგრძელს, გრიგოლ ასათიძეს, შალვა და ივანე ახალციხელებს და ბევრს სხვა დიდებულებს ცხენები დაეხოცათ და ქვეითად ჩბრძოდნენ. მაშინ სხვა მათი ამხანაგებიც ჩამოხტნენ და ქვეითად დაიწყეს ბრძოლა. მხოლოდ დავით სოსლანი და ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარი თავიანთ ცხენოსანის რაზმებით მოშორდნენ მათ და მოუარეს მტერს,—დავით სოსლანმა მარცხენა მხრით, მხარგრძელმა მარჯვენა მხრით,—მიეტყენ უცებ და დაუშინეს მედგრად. მტრის ჯარი შეირყა, იძლია ქართველთაგან და ზურგი შემოაქცია მათ. ქართველები გაედევნენ გაქცეულებს, ხოცავდნენ და

ტყვედ იჭერდენ. ქართველებს დარჩათ მთელი ბანაკი, სადაც აუარებელი სიმდიდრე იყო: ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი და პირუტყვი საქონელი. თამარ მეფე და დავით სოსლანი დიდის ამბით დაბრუნდენ ტფილისს. მოქალაქეებმა ძღვევამოსილის მეფისა და ლაშქრის მისაღებად მშვენიერად მოკაზმეს ქალაქი. ტფილისშივე ჩაასხეს დიდებული ტყვეები და დიდის ამბით გაატარეს ტფილისის ქუჩებზე ნუქარდინის დროშა (1204 წ.).

ეს შესანიშნავი გამარჯვება ქართველებისა მოხდა იმავე წელს, რა წელსაც ევროპელმა ჯვაროსნებმა აიღეს კონსტანტინოპოლი და დააარსეს ვიზანტიის ადგილს ლათინთა იმპერია. ამ ცვლილებით და არეულობით ისარგებლა ვიზანტიის იმპერატორის ანდრონიკეს შვილმა ალექსი კომნენოსმა, რომელიც, როგორც თამარის ნათესავი, ცხოვრობდა საქართველოში. იმან სთხოვა თამარს შემწეობა და ქართველის ჯარის დახმარებით აიღო შავის ზღვის პირად მდებარე ქალაქები და ქვეყნები: ლაზია, ტრაპიზონი, სამსონი, სინოპი, კერასუნდი, კიტორა, ამასტია და ირაკლია, რომლებიც დამოუკიდებელს ტრაპიზონის იმპერიად გამოაცხადა, ხოლო თავის თავი იმპერატორად (1204 წ.).

დროთა გამავლობაში ქართველებს ხელითგან წაუვიდათ ყარსის ციხე. თამარმა მის მტკიცედ და-

საჭერად გაგზანა ჯარი დავით სოსლანის წინამძღოლობით (1208 წ.). თითონ ჯავახეთში დადგა და იქითგან ელოდა ამბავს. ქართველებმა ციხეს შეუკრეს წყალი და მიუ აიძულეს მცხოვრებლები დამორჩილებულიყვენ. შეწუხებულმა ყარსელებმა შემოუთვალეს თამარ მეფეს, რომ ისინი დამორჩილდებოდნენ იმ პირობით, რომ ციხე სხვისთვის კი არ მიეცა, არამედ თავისთვის სამეფოდ დაეტოვებინა. თამარი დაჰპირდა ამ თხოვნის შესრულებას. როდესაც ყარსელებმა ციხის კლიტე მოართვეს თამარს, მან უბრძანა თავის შვილს, გიორგი ლაშას, რომ თითონ შესულიყო ციხეში და ჩაებარნა.

## VII

დავით სოსლანის სიკვდილი.—ანის აღება და აკლება არდებილის სულთნის მიერ.—არდებილის აღება და აკლება ქართველების მიერ.

გამარჯვებათაგან გამოწვეული სიხარული და ბედნიერება თამარისა, ბოლოს დაარღვია მის ქმრის დავით სოსლანის სიკვდილმა (1209 წ.). თამარს დარჩა მისგან ორხ შვილი—ქალ-ვაჟი: გიორგი ლაშა თხუთმეტის წლისა და რუსუდან თოთხმეტის წლისა. ამავე წელს თამარმა თავის მამის მაგალითით, გიორგი ლაშა აკურთხებინა მეფედ და თანაზიარი გაიხადა მეფობაში.

თამარ მეფეს ჯერ არ გამოეგლოვა თავის ქმარს, რომ არდებილის სულთანი მოულოდნელად დაცვა ანის ქალაქს და გააოხრა; ამ დროს თამარ მეფე დიდებულებითურთ გეგუთში იყო. არდებილის სულთანმა ანის აოხრებისთვის აირჩია აღდგომა დღე. დიდის სიფრთხილით წამოვიდა, გზაში არავის დაუშავა-რა და მიაღვა ანს დიდს შებათს აღდგომის ძალზე. ანელები სრულებით არ ელოდნენ მტრებს და ფართულნი იყვნენ მზადებაში აღდგომის დღესასწაულის შესახვედრად. მოაწია ცისკრის დრომაც და ზარების რეკა ასტყდა. ხალხმა იწყო დენა საყდრებში. ამ დროს გააღეს ქალაქის კარებიც. სპარსელები დაუბრკოლებლად შეესიენ ქალაქს და იწყეს მცხოვრებლების ჟლეტა. უცებ მოედო მთელს ქალაქს ქალაქში მტრების შემოსევის ანბავი. ხალხი მეტის მეტად შეშინდა. ზარდაცემულები იმალებოდნენ, საცა კი შეეძლოთ: საყდრებში, სახლებში და მღვიმეებში. მტრები შეუბრალებლად დაერიენ და უწყალოდ ამოხოცეს ვინც კი ნახეს. მარტო, საყდრებში 12,000 კაცი დხოცეს. აღაფით დატვირთული მტრები წავიდნ უკანვე (1209 წ.).

მეფის საზარელი ამბავი თამარმა გაიგო. გეგუთში კვირაცხოველობა დღეს. გამოუთქმელი იყო მწუხარებზე თამარსა და დიდებულებისა. თამარმა მაშინვე გამართა რჩევა იმის შესახებ, თუ რა ექნათ. ყველა დი-

დებულები იმ აზრისა იყვენ, რომ ამხედრებულიყვენ არდებილის სულთანზე შურის საძიებლად. ამირსპასალარის ზაქარია მხარგრძელის რჩევით შურის ძიების დროდ არჩეულ იქმნა ისეთივე დღე, როგორც სულთანმა შეარჩია ანის ასაოხრებლად—მუსულმანთა მოკრძალებული მარხვან, თამარმა გასცა ბრძანება, რომ დანიშნულის დროსთვის შეკრებილიყო ლაშქარი ანში. ხოლო ამირსპასალარი მაშინვე წავიდა ანს მცირეოდენის ჯარით ვითომ იმ სპარსთა გასაძევად, რომელნიც დარჩენილიყვენ. დანიშნულის ვადისათვის თავი მოიყარა ანში მესხეთის, თორის, კახეთის და სომხეთის ლაშქარმა. ზაქარია მხარგრძელის ამირსპასალარის წინამძღოლობით ამ ჯარმა გადაიარა გელაქუნი, ჩაიარა ისპიანო, გავიდა არაქსზე და მიმართა არდებილს. ქართველები მიადგენ არდებოლს იმ დროს, როდესაც თენდებოდა მუსულმანთა დღესასწაული—აიდი, ე. ი. მთვარის აღვსება. არდებილებმა სრულებით ვერ შეიტყეს ქართველების მისვლა. როდესაც დილით მუყრთა \*) იწყეს ყვილი, ქართველები მიესიენ ყოველ მხრით და აიღეს ქალაქი. ქართველებმა ახლა ისეთივე დღე დააყენეს არდებილებს, რაც არდებილის სულთანმა ანის ქალაქს: დახოცეს მრავალი

\*) მუყრი—მოლა, რომელიც მინარეთიდან იწვევს ხალხს სალოცავად.

ხალხი მეჩეთებში, დაატყვევეს აგრეთვე მრავალნი და მათ შორის თვით სულთანი მის ცოლშვილით, აიღეს უთვალავი ალაფი: ოქრო, ვერცხლი, თვალმარგალიტი და საქონელი, და გამარჯვებულნი დაბრუნდენ. ზაქარია და ივანე მხარგრძელები ნაშოვნის ალაფით მივიდენ თამართან, რომელიც იმ დროს კოლასში იყო (1210 წ.).

## VIII

ქართველების გალაშქრება სპარსეთში.

არდბილზე გალაშქრების დროს დაინახეს ქართველმა მხედართ-მთავრებმა, თუ რა სუსტი იყო სპარსეთი. ამიტომ იმათ აეძრათ სურვილი ამ ქვეყანაზე ამხედრებისა. მატიანის თქმით, აპირსპასალარმა ზაქარია მხარგრძელმა, მისმა ძმამ ივანემ და ბიძაშვილმა მათმა ვარამ გაგელმა მოახსენეს თამარს: „ძლიერო ხელმწიფეო და შარვანდედთა შორის უმეტეს აღმობრწყინვებულო, იხილე და განიცადე სამეფო თქვენი, და სცან სიმხნე და სიქველე სპათა შენთა. გულისხმა ჰყავ, რამეთუ მრავალნი ახოვანნი, მხნენი და ქველნი იპოვებიან სპათა შენთა შორის და არავინ არის წინააღმდეგომი მათი. აწ ბრძანოს მეფობამან თქვენმან, რათა არა ცუდად ვაუქმოთ სპანი

თქვენნი და დავიწყებასა მიეცეს სიმხნე მათი, არა-  
მედ აღვამხედროთ ერაცს რომგვარსა ზედა, რომელ  
არს ხვარასანი, რათა ცნან ყოველთა სპათა აღმოსავ-  
ლისათა ძალი და სიმხნე ჩვენი“. ამ წინადადების გა-  
სახილველად თამარმა შეკრიბა დიდებულები. ამა-  
თაც მოიწონეს მხარგრძელების რჩევა და გადაწყვი-  
ტეს გაელაშქრათ ხვარასანზე (1211 წ.). ღვინობის-  
თვეში ტფილისში შეიყარა ლაშქარი, რომელიც თა-  
მარმა დაათვალიელა, დალოცა და გაისტუმრა სპარ-  
სეთისკენ. ქართველებმა გაიარეს ნახჩევანზე, გადავი-  
დენ არაქსზე და შევიდენ დარდარუზის ვიწრო ხევ-  
ში. პირველი ქალაქი, რომელიც აიღეს, იყო მა-  
რანდი. მცხოვრებლებმა ქართველების მოახლოებაზე  
დასტოვეს ქალაქი და გაიქცენ მთებში. ქართველებს  
ეგონათ, რომ ადარბადაგანის ჯარი მირანდის მთაზე  
იქნებოდა. ამის გასაგებად ზაქარია მხარგრძელმა ამირ-  
სპასალარმა გაგზანა ხუთასი რჩეული მხედარი, დიდე-  
ბული და აზნაური, თაყიადინ თმოგველის წინამძღო-  
ლობით, და დააბარა, რომ არ შეჰბმოდენ მტერს,  
ვიდრე მას არ აცნობებდენ გარემოებას და შესაფერს  
ბრძანებას არ მიიღებდენ. ქართველთა რაზმი ავიდა  
მარანდის მთაზე და გადავიდა ვაკეზე. გაქცეულმა მა-  
რანდელებმა რომ შენიშნეს ქართველების ისე მცირე  
რიცხვი, გამოვიდენ კლდეებითგან და შეებრძოლენ  
მათ. ქართველები მედგრად დაუხვდენ მარანდელებს;

დაამარცხეს და გააქციეს. გაქცეულებს თან დაედევ-  
ნენ. როდესაც ქართველთა უმთავრესი ლაშქარი ავი-  
და მარანდის მთა-ვაკეზე, გაცემულნი დარჩენ ქარ-  
თველთ მხედართ-მთავრები; იმათ აქ დაინახეს ნაო-  
მარი, სადაც ეყარენ მარანდელები და ცხენები; ხო-  
ლო ქართველები აღარსად ჩანდენ. მატიანის თქმით,  
\*ხუთასი შუბი ხუთასსა კაცსა და ცხენსა ზედა ესვა,\*  
ქართველების უპოვნელობამ შეაწუხა ამირ-სპასალა-  
რი ზაქარია მხარგრძელი, რომელსაც ვერ წარმოე-  
დგინა, თუ რა დაემართათ მათ. მაგრამ პატარა ხანს  
უკან გამოჩნდენ ის ხუთასი ქართველნიც და შეა-  
ტყობინეს როგორც იყო საქმე. ზაქარია მხარგრძე-  
ლისთვის სასიხარულო იყო ქართველების გამარჯვება  
და უვნებლად გადარჩენა მათი, რადგან, მატიანის  
თქმით, \*არცა ერთი კაცი ქართველი მომკვდარიყო\*;  
მაგრამ საყვედური მაინც უთხრა თაყაიდინ თმოგველს-  
ბრძანების შეუსრულებლობისთვის.

მარანდიდან ქართველები გაემართენ თავრი-  
ზისკენ. თავრიზელებმა ამირ-სპასალარს გამოუგზავნეს  
მოციქულები, გამოუცხადეს მორჩილება და დაპირ-  
დენ დიდს ძღვენს და ხარაჯას. ზაქარია მხარგრძელმა  
ამ პირობით დაიჭირა ქალაქი, შიგ დააყენა ქართველი  
მცველები, მიიღო დიდი ძღვენი და განაგრძო ლა-  
შქრობა. როდესაც ქართველი ჯარი მიუახლოვდა  
მანას ქალაქს, აქაურმა მელიქმაც თავრიზელების მა-

გალითით მორჩილება გამოუცხადა ამირსპასალარს და უძღვნა დიდი ძღვენი. ამირ-სპასალარმა აქაც დატოვა მცველი ჯარი და განაგრძო გზა. პირველი ქალაქი, რომელმაც ქართველებს ურჩობა გაუწია იყო ზანგანი. ქართველები შემოადგენ გარს ამ მცირე ქალაქს და იწყეს თხრა მის ალიზის ზღუდეებისა (გალაფენისა). ამ ქალაქის აღებისა და აკლემის შემდეგ ქართველები გაემართენ ხვარასნისკენ, ყაზმინის მცხოვრებლებმა ვერ გაბედეს გამაგრება, გაიპარენ და გაიქცენ ქალაქი დარჩათ ქართველებს. მას უკან ქართველებმა დაიპყრეს ხორასნის ქალაქი რომგვარი და შემდეგ გურგანი. აქედგან აპირებდნენ კიდევ ლაშქრობის გაგრძობას, მაგრამ ნაშოგნი ალაფი და სიმდიდრე ლაშქრისა ისე დიდი იყო, რომ მათი თან ტარება შეუძლებელი იყო. ამიტომ ქართველებმა იკმარეს ლაშქრობა და გამობრუნდნენ უკან. როდესაც ქართველები ძღვევა-შემოსილნი დაიარებოდნენ ხორასანში, მანას ქალაქში ვინღამაც გაავრცელა ხმა, რომ ქართველები ამოუწყვეტიათ ხორასანში ისე, რომ ერთი კაციც არ გადარჩენილაო. ქალაქის მელიქმა დაიჯერა ეს ჭორი და შემდეგ იმხეცობა ჩაიდინა დატოვებულს ქართველს მცველებზე: დაახოცინა ისინი და ძელზე ჩამოაკიდვინა. მაგრამ მანელებმა მალე შეიტყეს, რომ ტყუილი იყო ხმა ქართველების გაწყვეტის შესახებ, რადგან ცოტა

ხნის შემდეგ ქართველთა ძლევა-მოხილვ ჯარი მივიდა ისევ მანას. მელიქი წინ შეეგება ქართველებს დიდის ძღვნით. როდესაც ზაქარია ამირსპასალარმა იკითხა, თუ სად არიან მისგან დატოვებული ქართველი მცველები, მელიქმა იცრუვა და უთხრა, რომ ისინი თავრიზს წავიდნენო. მაგრამ ამ დროს საითგანღაც გაჩნდა ერთი იმ მცველთაგანი, რომელიც კლდეში დამალული გადარჩენილიყო მუსერას, და ყველაფერი მოახსენა ამირსპასალარს. გაბრაზებულმა ზაქარია მხარგრძელმა საშინელი ჯავრი იყარა მოლაღატეებზე. მელიქი, მისი ცოლ შვილი და ნათესავები იქვე დაახოცვინა. თვით მელიქს და მის შვილებს ტყავები დააძრობინა და ძელზე (ბოძზე) ჩამოაკიდვინა, ქალაქი მოაოხრა, მოწვა და ტყვე ჰყო. მანითგან ქართველები წამოვიდნენ იმავე გზით, რომლითაც გამოიარეს. ყველგან წინ უხვდებოდნენ მორჩილებით და აუარებელის ძღვნით. ამ ნაირის გამარჯვებით მოვიდნენ ტფილისს, სადაც თამარ მეფე შეეგება გამარჯვებულს ლაშქარს. ქალაქმაც დიდის ამბით იდღესასწაულა გამარჯვებულის ლაშქრის დაბრუნება. იყო განუწყვეტელი ხმა ბუკთა და დუმბულოთა\*). თამარ მეფე შევიდა თავის სასახლეში და დაჯდა ტახტზე. პირველად შევიდა მასთან ამირსპასალარი, მას მიჰყვენ

\*) ბუკი და დუმბული საკრავებია.

სხვა წარჩინებულები და დასხდენ რიგზე წესისამებრ. მერმე შემოიტანეს და დააწყეს მეფის წინაშე ის აუარებელნი განძნი, რომელნიც სიშოვეს ქართველებმა ლაშქრობის დროს. გაუკვირდა ისეთი სიმრავლე განძთა თვით თამარსაც, რომელსაც თავის სიცოცხლეში ბევრი სხვა მდიდარი და მრავალი ნააღწევეი ენახა.

## IX

სიკვდილი ამირსპასალარის ზაქარია მხარგრძელისა.—მხარგრძელების გვარი ივანე მხარგრძელის გაათაბაგება.—დიდოების და ფხოვლების დამშვიდება.

ბოლოს გადაიცვალო (1212 წ.) თვით უმთავრესი გმირი როგორც ამ უკანასკნელის ლაშქრობისა, ისე ბევრის სხვისა—ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი. შესანიშნავია თამარის დროს მხარგრძელების გვარი. ზაქარიას გარდა თამარის მეფობაში ბრწყინავდენ კიდევ თავიანთ მხედართ-მთავრულის ნიჭით, ვაჟკაცობით და სამსახურის ერთგულობით პირველად მამა მისი სარგისი, მერმე ძმა ივანე, შემდეგ ბიძაშვილები მისი ზაქარია და სარგის ვარამის ძენი და შვილნი უკანასკნელებისა: ვარამ გაგელო ზაქარიას ძეს და თაყიადინ თმოგველი სარგისის ძე. თითქმის ყოველს ლაშქრობაში მხარგრძელები იღებდენ

მონაწილეობას და დავსაც იჩენდენ. ამის გამო თამარ მეფეც აჯილდოვებდა და აწინაურებდა მათ. ჯერ სარგისსა და მტრე მის შვილს ზაქარიას მისცა უდიდესი კთანამდებობა მთელს სამეფოში— ამირსპასალარობა და ლორის სამთავრო; ივანეს— მსახურთ უხუცესობა და ქვეყნები კაენისა და კაიწონისა ქალაქებითურთ; ზაქარია ვარამის ძეს გაგის ქვეყანა და მის ძმას სარგისს თმოგვი. ეს უკანასკნელი შესანიშნავი იყო აგრეთვე როგორც მწერალი, რომელსაც აკუთნებენ „ვისრამიანის“ გადმოქართულებას. მხარგრძელები მომდინარეობდენ ერთის ქურთისგან, რომელმაც, სასომხეთის მეფის სამსახურში შესულმა, მიიღო გრიგორიანთა სარწმუნოება და დაიკავა შესამჩნევი ადგილი სამეფოში. მეთორმეტე საუკუნეში მხარგრძელები შევიდენ საქართველოს მეფის სამსახურში და თავის ერთგულობით და ვაჟკაცობით შესამჩნევი ადგილი დაიჭირეს, ასე რომ თამარის მეფობაში ყველაზე წარჩინებულნი და გავლენიანი გვარი იყო მხარგრძელები გვარი. ზაქარია და ივანე სარგისის ძენი ფავიანთ პირადის სამსახურის გარდა შესანიშნავნი არიან აგრეთვე მეცადინეობით ქართველებისა და სომხების მოსარჩევებლად და დასახლოვებლად სარწმუნოებრივ. ივანემ პირდაპირ მიიღო ქართლ-მადიდებლობა, ხოლო ზაქარია კი ცდილობდა, რომ მთელს სომხის ერს შეეცვალა ზო-

გიერთი საეკლესიო წესი და რიგი, რომლებიც ერთ-  
მანერთს აშორებდნენ ამ ორს ერს. ამ აზრით იმან  
მიმართა სასომხეთის პატრიარქს და მეფეს ლეონს,  
რომელთაც მოახდინეს საეკლესიო კრება ამ საგნის  
გადასაწყვეტად (1205 წ). კრებამ, თანახმად ზაქარიას  
სურვილისა, გადაწყვიტა, რომ სომხებს მიეღოთ ხე-  
ნებული ცვლილებანი, მაგრამ ამ კრების გადაწყვე-  
ტილებას წინამდებობა გაუწიეს ზოგიერთმა საქარ-  
თველოს სამფლობელოში მცხოვრებმა ეპისკოპოზებმა.  
ბევრს ეცადა ზაქარია, რომ ისინი დაეთანხმებინა,  
მაგრამ ურჩობა არ დაიშალეს ეპისკოპოზებმა და მის  
მეცადონეობა უნაყოფოდ დარჩა. მხარგრძელების სურ-  
ვილი სომხებისა და ქართველების შეერთებისა წარ-  
მოსდგებოდა ნამდვილის სიყვარულისა და ერთგუ-  
ლობისგან ორისავე ერისა. ისინი ხედავდნენ, რომ ამ  
ორთა ერთა სარწმუნოებრივი განსხვავება არ იყო  
სასარგებლო არც ერთისათვის, ხოლო ერთობა კი  
ძლიერ სასარგებლო იქნებოდა საზოგადო მტრების  
მოსაგერებლად.

ზაქარია ამირსპასალარის სიკვდილის შემდეგ თამარ  
მეფემ მის თანამდებობა უბოძა მის ძმას ივანეს, მაგრამ  
მან სთხოვა მეფეს, რომ მისთვის არ ეწოდებინა ამირ-  
სპასალარი, ჭადგან ღირსად არიზულიდა თავის თავს ძმის  
შოადგილედ. ამირსპასალარობის მაგიერ ივანემ სთხო-  
ვა თამარს, რომ მისთვის მიენიჭებინა ვთაბაგის სა-

ხელი. ათაბაგობა არ იყო საქართველოში მიღებული და მხოლოდ თურქების სულთნებს ჰქონდათ ჩვეულებად, რომ მათი შვილების ამზრდელებს ათაბაგად იხსენიებდნენ. რადგანაც ივანე იყო ამზრდელი გიორგი ლაშასი, ამიტომ ითხოვა ათაბაგად წოდება. თამარმა შეიწყნარა მისი თხოვნა და უწოდა ათაბაგი. მისი უწინდელი თანამდებობა კი — მსახურთუხუცესობა — უბოძა მის ბიძაშვილს ვარამ გაგელს.

ამ დროს, როდესაც ქართველები ლაშქრობდნენ სპარსეთში და თრგუნავდნენ გარეშე მტრებს, თვით თამარის ქვეშევდრომმა დიდოებმა და ფხოველებმა ხელი მიჰყვეს რბევას, ხოცვას და ტყვევნას მახლობელის მაზრებისა. ფხოველები და დიდოები მეტისმეტად გაუვითარებელი და მოუხეშავი ხალხი იყვნენ. მეტადრე დიდოელები. ფხოველები სახელით მაინც იყვნენ ქრისტიანები, დიდოები კი მისდევდნენ წარმართობას და უმსგავსს ჩვეულებას. თაყვანს სცემდნენ უჩინარს ავს სულს და ცხოველებს. მაგ. უნიშნო შავს ძაღლს. ძმებს იმათში ერთი დედაკაცი ჰყავდათ ცოლად. სჭამდნენ უხარშავს ხორცსა და დამხრჩვალს საქონელსა. ამ ხალხების დაწყნარება თამარმა ათაბაგს მიანდო. ათაბაგმაც შეჰყარა ისევ მთის ხალხის დვალეები, ცხრაძმელები, მოხვევებო, ხადელები, ცხადელები, ქართალები და ერწოთიანელები. ამ ლაშქრით ავიდა ხადის მთაზე, გადაიარა მთა-მთა და

მივიდა დიდოეთისა და ფხოეთის მთაზე, მთის მეორე მხარეს მცხოვრებმა ღუროძეებმა რომ გაიგეს ათაბაგის მისვლა, მივიდნენ მასთან და დაჰპირდნენ შველას-ათაბაგმა იწყოთ ფხოეთის და დიდოეთის რბევა. იქ დარჩა სამს თვეს: ივნისს, ივლისს და აგვისტოს. ფხოელები და დიდოელები იძულებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ ათაბაგს და დაწყნარებულიყვნენ (1212 წ.).

## X

თამარ მეფის სიკვდილი. — მის მეფობის ვითარება.

ამავე წელს (1212) თამარ მეფეს, მათიანის თქმით, რაღაც სნეულობა გამოაჩნდა. თუმცა ბევრს ეცადნენ მკურნალები მის გასაკურნებლად, მაგრამ ვერას გახდნენ და რამდენისამე ხნის ავადმყოფობის შემდეგ თამარ მეფე გადაიცვალა (18 იანვარს 1213 წ.) \*). დიდად სამწუხაროდ დარჩა მთელს ერს თავის საყვარელის მეფის სიკვდილი. მის გვამი რამდენსამე დღეს დაასვენეს მცხეთის ტაძარში და შემდეგ წაასვენეს

---

\*) ბროსე და მასთან სხვა ისტორიკოსები თამარის სიკვდილის წლად სთვლიან 1212 წ. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ უფრო ნამდვილი იქნება 1213 წ., რადგან ქ.-ცხ. თქმით ის გადაიცვალა 18 იანვარს, ზაქარია მხარგრძელის შემდეგ, რომელიც ვარდანის მოწმობით და ბროსეს აზრითაც მოკვდა 1212 წ.

გელათში და დამარხეს სამეფო სამარხში, სადაც განისვენებდნენ მის მამა-პაპანი. *სამეფო სამარხში*  
*მის* არც ერთი მეფე ქართველს ერს ისე არ ახსოვს როგორც თამარი. ხალხს ის მიაჩნია მეტისმეტად ჭკვიანს, მშვენიერს და გულკეთილს ადამიანად. ერთის სიტყვით ხალხის თვალში თამარი მოჩანს სანატრელს მეფედ. არ არის არც ერთი კუთხე საქართველოში, სადაც თამარ მეფე არ ახსოვდეთ და არ მოუთხრობდენ მაზე სხვა-და-სხვა ამბებს. ბევრგან თამარ მეფე მიაჩნიათ წმინდანად. ლოცვებში ევედრებიან ღმერთთან შუამდგომლობას და ელიან მის მეორედ აღდგენას და გამეფებას. ცხადია, ასეთი ხსოვნა რომ დაეტოვებინა, თამარი უნდა ნამდვილად შესამჩნევი ყოფილიყო. თამარი რომ ძრიელ ლამაზი და მშვენიერი იყო, ამას მოწმობენ მემატრანენი და მის დროის პოეტები. სილამაზესთან ის იყო მეტად კეთილის გულის ადამიანი. მას უყვარდა ბედისგან დაჩაგრულები—გლახები და ობლები, რომელთაც უხვად აძლევდა მოწყალებას; ებრალებოდა ყოველი ადამიანი, რისგამოც მას თავის მეფობაში ერთხელაც არავინ დაუსჯია სიკვდილით და მუდამ მზად იყო მიეტევებინა დანაშაული. როგორც მხურვალე ქრისტიანი, აქცევდა უმთავრესს ყურადღებას საყდარ-მონასტრების შენებას, შეკეთებას და სამღვდლოების მფარველობას. სწირავდა არა მარტო საქართვე-

ლოს საყდრებს, არამედ უცხო ქვეყნებისასაც. ბლო-  
მად მიდიოდა მის შესაწირავი იერუსალიმს, სინაზე,  
ათონზე, შავს მთაზე, სირიაში და სხვაგან, სადაც  
კი შესანიშნავი მონასტრები იყო. თამარის შეწირუ-  
ლობათა სიუხვით ისე მოიხიბლა საბერძნეთის იმპე-  
რატორი ალექსი III ანგელოზი, რომ ერთხელ კი-  
დეც გაცარცვა კონსტანტინოპოლში ბერები, რომ-  
მელთაც თამარისგან შენაწირევი განძი მიჰქონდათ.  
ხარბის იმპერატორის შესარცხვენად თამარმა იმავე  
ბერებს უფრო მეტი განძი აჩუქა ამის შემდეგ. თა-  
მარის საყდრების მთარჯელობის ბრალია, რომ ახლა  
ხალხი, საცა-კი ძველი ნაშენი საყდარია, მის აშენე-  
ბას თამარს მიაწერს.

სამეფოს მართვაში თამარმა აშკარად გამოიჩინა  
სიბრძნე მით, რომ ხელისუფლებად და მხედართ-მთა-  
ვრებად ირჩევდა ღირსეულს პირებს. ამ სიბრძნესთან  
გამოიჩინა აგრეთვე ვაჟკაცური სიმხნე გაჭირებულს  
მდგომარეობაში მტრებთან ბრძოლის დროს. ის არას  
დროს არ ჰკარგავდა სასოებას და მოიხედე ღვთისა და  
თავის ხალხის ვაჟკაცობისა აცილებდა ლაშქარს მტერ-  
თან საბრძოლველად. ქართველებიც აღტაცებულნი  
თამარის მხნეობით და თავ-მომწონენი დიჭიერის წინა-  
მძღვრებით იბრძოდნენ თავდადებით და იმარჯვებდნენ  
მტრებზე. ამ გარემოებათა მეოხებით საქართველომ  
თამარის მეფობაში მიაღწია მძლავრობის უმაღლესს

ზარისხამდე. საქართველოს საზღვრები შეიცავდენ მთელს სივრცეს შავის ზღვითგან თეთრს (კასპიის) ზღვამდე და კავკასიონის მთებითგან არაქსამდე და მცირე აზიამდე. ჩვენის აზრით, უმთავრესად ეს გაძლიერებაა მიზეზი იმისა, რომ თამარი ისე უყვარს ქართველს ერს და ისე ახსოვს მის სახელი. თამარის დრო არის ის დრო, როდესაც ქართველმა ერმა იცნო თავის თავი, თავის ღონე და შემძლებლობა. მაშინ გაუსწორდა ქართველი ერი სხვა ერებს და დაანახვა ყველას, რომ მასაც შესძლებია რამე. თამარმა თავის ბრწყინვალე მეფობით დაავიწყა ერს მისი მართლაც რომ შესანიშნავი წინანდელი მეფეები და, რადგან, საუბედუროდ, თამარის შემდეგ საქართველო აღარ შესწრებია იმისთანა დროს, ამიტომაც დარჩა მარტოდ-მარტო მოკაშკაშე მეფედ ქართველის ერის მეხსიერებაში.

ამასთან არ უნდა დავივიწყოთ ერთი გარემოება, რომელმაც უმთავრესად ხელი შეუწყო საქართველოს მოღონიერებას მეთორმეტე საუკუნეში და კერძოდ თამარის დროს. ეს გარემოებაა ჯვაროსნების ლაშქრობა აღმოსავლეთში და საქრისტიანო სამფლობელოების დაარსება პალესტინასა და სირიაში. რაკი მუსულმანობას გაუჩნდა სხვა მხრით მტერი და მის უზარ-მაზარი ძალა, რომელიც წინად მარტო ქართველებისკენ იყო მიმართული, განახევრდა, სა-

ქართველოს გაუადვილდა მასთან ბრძოლა და შიქ-  
ცა შეძლება შიგნითგან გაერთიანებულიყო და გა-  
ძლიერებულიყო. ამ გარემოებამ ჩააყენა საქართვე-  
ლო იმ პირობაში, რომელშიაც მეფეებისა და ქვე-  
ყნის სხვა მოღვაწე პირების ნიქს, მხნეობას და ვაჟ-  
კაცობას უთუოდ უნდა კეთილი ნაყოფი ჰქონდათ.

საქართველოს გაძლიერებას მოჰყვა მეფის ხა-  
ზინისა და ქვეყნის გამდიდრება; საქართველოში და-  
ტრიალდა აურაცხველი ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი  
ქვები, ფარჩეულობა და პირუტყვი საქონელი, რად-  
გან დამარცხებულის მტრების ავლადიდება და და-  
პყრობილის ქვეყნების სიმდიდრე ქართველების სა-  
კუთარებად ხდებოდენ. ერთი ნაწილი ლაშქრობაში  
ნაშოვნის დავლისა გადაიდებოდა სამეფოდ, დანარ-  
ჩენი ეძლეოდა ლაშქარსა და მის წინამძღოლებს.  
ამის გამო ყველაფერი გაიფარდა, ცხოვრება გაადვილ-  
და, გაუუმჯობესდა და შემცირდა ქართველის მკვიდ-  
რის სახელმწიფო გადასახადი.

ნივთიერის წარმატების გარდა საქართველომ  
თამარის მეფობაში გონებრივის განვითარებითაც უმა-  
ღლესს ხარისხამდე მიაღწია. ქართველები მთელს მე-  
თორმეტე საუკუნეში ხარბად ეწაფებოდენ და სწავ-  
ლობდენ ბერძნების, რომაელების, არაბების და სპარ-  
სების მწერლობას და მეცნიერებას. თვით ქართველ-  
თა შორისაც გაჩნდნენ მეცნიერები და მწერლები,

რომელთაც ჭამდიდრეს ქართული ენა და ლიტერატურა: თარგმანებით და თავისებურის ნაწერებით. თამარის დრო არის ოქროს დრო ქართულის მწერლობისა. ამ დროს იყვენ საუკეთესო მწერლები: შოთა რუსთაველი, ივანე შავთელი, მოსე ხონელი, სარგის თმოგველი, ჩხარუხაძე და სხვები, სასულიერო და საერო მწერლები.

მაგრამ თამარის მეფობის ბრწყინვალეობასთან შეინიშნება ისეთი ნაკლებევაებაანიც, რომელთაც ცუდი შედეგი უნდა ჰქონოდათ. პირველად უნდა ავნიშნოთ, რომ სამეფოს წეს-წყობილება არ იყო ისეთი, როგორც საჭირო იყო, რომ საქართველოს ძლიერება მკვიდრი დარჩენილიყო. ერისთავებს ძალიან დიდი უფლება ჰქონდათ მინიჭებული და თანაც ეს თანამდებობა მემკვიდრეობითი იყო, ასე რომ ერისთავი საერისთავოში თითქმის დამოუკიდებელს მთავარს ჰგავს. ერისთავებს რომ რამე უსიამოვნება და უკმაყოფილება მოსვლოდათ მეფესთან, შეეძლოთ ურჩობა გაეწიათ მისთვის და კიდევ აელოთ მის წინააღმდეგ იარაღი, როგორც ეს ქნეს მათ, რომელნიც მიუდგენ გიორგი რუსს. ამას გარდა დაპყრობილის ქვეყნების მიმართ არ აღდგენ შესაფერის პოლიტიკას დაპყრობისა. თანავე თამარი დამორჩილებულს ქვეყანას აძლევდა ერთ-ერთს ქართველს დიდებულს, რომელიც ხდებოდა ამ ქვეყნის სრული

გამგებელი და ისე ეპყრობოდა დაპყრობილთ, როგორც უნდოდ. თუ თავის კაცს არ მისცემდა თამარი დაპყრობილს ქვეყანას ისევ წინანდელს მფლობელს უტოვებდა და ართმევდა მხოლოდ ხარაჯას (წლიურს გადასახადს). არც ერთი და არც მეორე გვარი დამორჩილება არ იყო საიმედო, რადგან დაპყრობილნი ერთგან მუდამ შეწუხებულნი იყვენ ქართველის გამგებელის თავნებობით და ამიტომ მუდამ მზად იყვენ მოემორებინათ ქართველების ხელმწიფება, მეორეგან, რაკი ისევ ძველი წესწყობილება რჩებოდა, ქართველებს ვერ შეეძლოთ ფეხის მოკიდება და გამაგრება სამკვიდროდ. ამის გამო ქართველებს და დამორჩილებულთ ხალხთ შორის არაფერი ამყარებდა ერთობას და სიყვარულს. პირიქით დამარცხებულთა სარწმუნოებრივი განსხვავება ქართველთაგან უფრო ხელს უმართავდა უკმაყოფილებისა და სიძულილის აღძვრას. სარწმუნოებრივი განსხვავება ხშირად ყოფილა დამაბრკოლებელი მიზეზი ერთა შორის დაახლოვებისა და ასე უნდა ყოფილიყო მეტადრე მებორმეტე საუკუნეში, როდესაც სარწმუნოების ინტერესი ყველაზე მაღლა იდგა და ვინც ერთის სარწმუნოებისანი არ იყვენ, უთუოდ მტრები უნდა ყოფილიყვენ. ამიტომაც ძნელი საფიქრებელი იყო საქართველოს შერჩენოდენ ის მა-

ჰმადიანებით დასახლებული ქვეყნები, რომლებიც თამარზეა დაიპყრო.

სრულებით კარგი შედეგი არ უნდა ჰქონოდა არც იმ სიმდიდრეს, რომელიც თამარ მეფის დროს დატრიალდა საქართველოში. ლაშქრობით გამდიდრებული ერი უნდა გადაჩვეულიყო შრომას. იმისთვის აღარ იყო საჭირო არც ხელობა, არც გარჯა, არც მომჭირნეობა, რადგან ყველაფერი ან იარაღით იშოვებოდა, ან ძალიან იათად. მეფე და დიდებულები შეძენილს სიმდიდრეს ხმარობდნენ ან თავის საკუთარის განცხრომისათვის, ან საყდარ-მონასტრების გასამრავლებლად და გასამშვენებლად, რასაც უეჭველად უნდა მოჰყოლოდა ბერების გამრავლება. თამარისავე უხვს წყალობას და მფარველობას გლახებისას აგრეთვე უნდა შედეგად ჰქონოდა უკანასკნელთა გამრავლება, რომელნიც მუქთად ცხოვრებას არჩევდნენ გარჯასა და შრომასა. ხოლო დიდებულთა განცხრომილს ცხოვრებას უნდა ცუდი გავლენა ჰქონოდა ზნეობრივ ახალს თაობაზე, რომელიც განცხრომასა და ფუფუნებაში იზრდებოდა.

თვით გონებრივი განვითარებაც თამარის დროს ერთმხრივი იყო. სასულიერო რომ არ მოვიხსენიოთ, უმთავრესად პოეზია იყო აყვავებული. სხვა გვარი მწერლობა, მაგ. ისტორიული, ძალიან ნაკლებ განვითარდა. იმ დროს, როდესაც პოეტები ცდილობენ

რაც შეიძლება დაწვრილებით ასწერონ თამარ მეფის სიმშვენიერე და სიქველე, იმ დროს, როდესაც ისინი დაწვრილებით სწერენ თავიანთ ზღაპრულის მოთხრობების გმირებს, იწერება მეტისმეტად მოკლე და მშრალი მატყანე იმავე თამარ მეფისა და მის დროის ამბებისა. ეს გარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ ჩვენ არა გვაქვს საკმარისნი ისტორიულნი წყარონი, რომ ზედმიწევნით და ყოველმხრით შეიძლებოდეს ამ დიდებულის დროის შესწავლა. \*)



\*) ჩვენი წყაროები ამ ნაწერის შესადგენად იყო: 1) ქართლის ცხოვრება ტ. I; 2) ამისი ფრანგული თარგმანი ბროსეს შენიშვნებით და დამატებით, და 3) ვახუშტის საქართველოს ისტორია ბაქრაძის შენიშვნებით.

ს ა რ ჩ ე ბ ი

თავი I თამარის გამეფება. — იმის პირველი განკარგულებანი. — შემოსევა და განდევნა მტრებისა მის მეფობის პირველ წლებში . . . . . 33

თავი II თამარის დაქორწინება გიორგი რუსზე. — გიორგი რუსის ღაშქრობანი. — გიორგის ცუდის ქტუვის გამოხენა და მას განდევნა საქართველოთგან. . . . . 10

თავი III თამარის საქმროები. — მის მეორედ დაქორწინება დავით სოსლანზე . . . . . 14

თავი IV გიორგი რუსის პირველი შემოსევა საქართველოში და ერისთავების დალატა. — მათი დამარცხება და გიორგის ხელმეორედ განდევნა . . . . . 17

თავი V დავით სოსლანის პირველი ღაშქრობანი. — გიორგი რუსის ხელმეორედ შემოსევა და განდევნა. — შანჭურის ომი და განჯის აღება. . . . . 21

თავი VI ყარსის დატყრა. — ომი იკონიის სულთანს სუქარდინთან და მის დამარცხება. — ტრაპიზონის იმპერიის დასრულება. — ყარსის დაკარგვა და ხელმეორედ აღება . . . . . 29

თავი VII დავით სოსლანის სიკვდილი. — ანის აღება და აკლება არდებილის სულთანის მიერ. — არდებილის აღება და აკლება ქართველების მიერ . . . . . 35

თავი VIII ქართველების გადაშქრება სზარსეთში . . . . . 38

თავი IX სიკვდილი ამირსპასალარის ზაქარია მხარგრძელისა. — მხარგრძელების გვარი. — ივანე მხარგრძელის გაათავებება. — დიდოების და ფსოლების დამშვიდება. . . . . 43

თავი X სიკვდილი თამარ მეფისა. — მის მეფობის ვითარება. . . . . 47

947.922

5 279

ფანი სანი ზაზანი.